

## მუნიციპალიტეტის მერი და ახალშენის მაჟორიტარი მოსახლეობას შეხვდა



ახალშენის თემში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები მუნიციპალიტეტის მერმა ჯუმბერ ვარდმანიძემ და ახალშენის მაჟორიტარმა დეპუტატმა მინდია დიასამიძემ მოისმინეს. მოსახლეობის მიერ დასმული საკითხი, რომელიც სოფელ ახალშენში მინის სტადიონის მოწყობას ითვალისწინებდა, მერის გადაწყვეტილებით პროექტის მომზადება საპროექტო სამსახურს დაევალა, ხოლო რაც შეეხება სასმელი წყლის ჭაბურღილზე დებეტის დამატებას, შესაბამისი სამსახური შეისწავლის და უახლოეს პერიოდში აღნიშნული პრობლემა მოგვარდება. მოქალაქეთა ნაწილი განახლება-კურცხალიძეების მიმართულებით შიდა სასოფლო გზის დაბეტონებას მოითხოვდა და შეხვედრაზევე გადაწყდა, რომ აღნიშნულ ლოკაციაზე 20კმ ბეტონი გამოიყოს.